ხელშეკრულება N

WIFI-ს აპარატული უზრუნველყოფის მოწყობილობების იჯარით გაცემაზე და
ინტერნეტმომსახურების გაწევის თაობაზე

ქ.წალენჯიხა ,,----,, ,,----------,, ------ წ

ერთის მხრივ,_____პ/ნ ან ს/ნ_____შემდგომში (დამკვეთი) და მეორეს მხრივ შპს „აიროპტ“ მისი დირექტორის თორნიკე ანთია სახით შემდგომში (შემსრულებელი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „დამკვეთის“ WIFI-ს აპარატული მოწყობილობების დროებით სარგებლობაში გადაცემა და მონტაჟი.
1.2 „შემსრულებლის“ მიერ „დამკვეთის“უკაბელო ქსელით ინტერნეტით უზრუნველყოფა.

2. მომსახურების გაწევის წესი და პირობები

2.1 ”მომსახურების” გაწევის წინა მოსამზადებელი სამუშაოები იწყება ინვოისისა და ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ.
2.2 WIFI -ს აპარატული უზრუნველყოფის მონტაჟის (ინსტალაცია) საფასური შეადგენს _____ლარი.
2.3 ”მომსახურების” მიღების შესახებ განცხადების წარდგენის შემდეგ ”შემსრულებელი” იწყებს WIFI -ს აპარატული უზრუნველყოფის მონტაჟს „დამკვეთის“ მხარეს, ამასთან ,,შემსრულებლის“ მიერ დამონტაჟებული აპარატურა წარმოადგენს მხოლოდ ,,შემსრულებლის“ საკუთრებას, რომელსაც იგი დროებითი სარგებლობის უფლებით გადასცემს დამკვეთს აღნიშნული ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, მომსახურეობის ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში ,,შემსრულებელი“ უფლებამოსილია განახორციელოს WIFI -ს მოწყობილების დემონტაჟი.
2.4 WIFI-ს აპარატული უზრუნველყოფის მონტაჟისა და ”მომსახურების” შემოწმების შემდეგ, ”მხარეებს” შორის დგება გასაწევი მომსახურების ხარისხის მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც წარმოადგენს ”მხარეთა” შორის ფინანსური ანგარიშგების დაწყების საფუძველს.

3. მომსახურების აღწერილობა, საზღაური და გადახდის ვადები

3.2 დამკვეთი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს სასურველი პაკეტის მინიმუმ ერთი თვის ღირებულება ყოველი თვის იმ რიცხვში, რომელიც დაფიქსირებულია მიღება-ჩაბარების აქტში. თანხის შეტანა უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში აღნიშნულ შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე, ოფისში სალარო აპარატის მეშვეობით ან სხვა გადახდის აპარატებით.
3.3 „დამკვეთი” ვალდებულია მოახდინოს მომსახურების ღირებულების გადახდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც მან არ ან ვერ მიიღო მომსახურება შემსრულებელისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

4. დამკვეთის უფლება-მოვალეობანი

4.1. საკომუნიკაციო საშუალებების დაზიანებაზე და მისი მწყობრიდან გამოსვლაზე ექსპლოატაციაში შესვლის მომენტიდან პასუხისმგებელია დამკვეთი გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დამკვეთი სარგებლობს საგარანტიო მომსახურებით, რომლის პირობები რეგულირდება დანართი #2–ით.
4.2. „დამკვეთი” – ს მიერ ანგარიშსწორების ვადების დაგვიანების შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია დავალიანების დაფარვამდე შეუზღუდოს ინტერნეტ მომსახურება, ხოლო 30 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ განახორციელოს WIFI-ს აპარატული მოწყობილობის დემონტაჟი.
4.3. „დამკვეთი“ უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით.
5.4. „დამკვეთი“ პასუხისმგებელიაWIFI-ს აპარატული მოწყობილობის დაცვაზე მესამე პირის მიერ ხელყოფისაგან და არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება „შემსრულებელს“ ვინაიდან მისი მოვალეობა შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემებისა და ინფორმაციის გატარების (მიწოდების) უზრუნველყოფით.
4.5. „დამკვეთს“ აქვს უფლება თვეების მიხედვით აირჩიოს ან შეცვალოს ინტერნეტ მომსახურების არსებული პაკეტი.
4.6. „დამკვეთის” მიზეზით მომხდარი დაზიანება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ”მომსახურების” მიწოდების შეფერხება არ ათავისუფლებს დამკვეთს მომსახურების ღირებულების გადასახადისაგან და იგი ვალდებულია სრულად გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ”მომსახურების” ღირებულება.

4.7. „დამკვეთის“ მიერ „შემსრულებლისაგან“ დროებით სარგებლობაში მიღებული მოწყობილობის აპარატული და პროგრამული დაზიანების შემთხვევაში ფინანსური პასუხისმგებლობა, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მოწყობილობის საბაზრო ღირებულებით დაზიანების მომენტში ეკისრება „დამკვეთს“.

#	მოწყობილობის დასახელება	რაოდენობა	მომსახურეობის მიმღების (დამკვეთის) ხელმოწერა
	Ubiquiti AirGrid AG-5G23	1	
	Ubiquiti AirGrid AG-5G27	1	
	Nano Beam M5	1	
	Power Beam M5 300	1	
	პაკეტის ღირებულება		

(შენიშვნა - დამკვეთის ხელმოწერა ფიქსირდება მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობის შესაბამის გრაფაში)

4.8. დამკვეთს უფლება არა აქვს გადასცეს მესამე პირს „შემსრულებლის“ საკუთრებაში არსებული WIFI-ს აპარატული უზრუნველყოფის მოწყობილობა.

5. შემსრულებლის უფლება-მოვალეობანი:

5.1 შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულებაში მითითებული პირობების დაცვით.

5.2 შემსრულებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების მიწოდებაზე მის საკუთრებაში არსებული ლიცენზიებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საფუძველზე, თუ:

- მომსახურების მიწოდება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული მოვლენების გამო.

5.3 შემსრულებელი არ არის ვალდებული დამკვეთის ქმედებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში შეაკეთოს მის სარგებლობაში/მფლობელობაში არსებული შიდა ქსელი. დაზიანების შეკეთება ჩაითვლება ფასიან სერვისად და საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად დაზიანებიდან გამომდინარე.

5,4 ფულადი ვალდებულების „დამკვეთის“ მიერ შეთანხმებულ ვადაში გაუფორმებლობის შემთხვევაში “ორდუნეტ“-ი უფლებამოსილია დაარიცხოს „დამკვეთს“ პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 1,071%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ფორს მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, როგორიც არის ომი, ხანძარი, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო გადატრიალება, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

6.2. მხარეები ვალდებულნი არიან აცნობონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შესახებ მათი დადგომიდან 24 საათის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და იგი შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მხარის მიერ წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებს მის შეწყვეტამდე აღებული ვალდებულებებისაგან;

8. კონფიდენციალობა

8.1. თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და არ გადასცეს ის მესამე მხარეებს. კონფიდენციალურად არ ითვლება ის ინფორმაცია, რომლის გამჭვირვალობის ვალდებულება ოპერატორს ეკისრება კანონმდებლობის და მარეგულირებელი აქტების შესაბამისად;

9. სხვა პირობები

8.1.ხელშეკრულების ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება ფორმდება დანართის სახით მხოლოდ წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი უნდა იქნას ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

8.2.მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა სადაო საკითხი წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მიმართოს მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს, ან დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

8.3.ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება მომხმარებელს, ხოლო მეორე - კომპანიას.

9. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი:

შპს„ აიროპტ“
მისამართი: ქ. ზუგდიდი რაიონი სოფ, ინგირი
ტიციანის ქN37
დირექტორი: თორნიკე ანთია
ელ. ფოსტა: info@airopt.ge
ტელეფონი: 032 211 07 57
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარისწ. ანგ. GE05BG0000000877825500

დამკვეთი:

სახელი, გვარი: _____

პ/ნ ან ს/ნ _____

ტ: _____

მისამართი:_____

ხელმოწერა:

შპს„აიროპტ“-ის

დირექტორი (თ. ანთია)

ხელმოწერა:

შპს „აიროპტ“-ის მიერ მომსახურების გაწევის შესახებ
მიღება-ჩაბარების აქტი #

დამკვეთის ID				
დამკვეთის IP				
პაკეტის სახეობა				
პაკეტის ღირებულება				

მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი:

შპს„ აიროპტ“
მისამართი: ქ. ზუგდიდი რაიონი სოფ, ინგირი
ტიციანის ქN37
დირექტორი: თორნიკე ანთია
ელ. ფოსტა: info@airopt.ge
ტელეფონი: 032 211 07 57
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარისწ. ანგ. GE05BG0000000877825500

ხელმოწერა:

შპს„ აიროპტ“-ის

დირექტორი (თ. ანთია)

დამკვეთი:

სახელი, გვარი: _____

პ/ნ ან ს/ნ _____

ტ: _____

მისამართი: _____

ხელმოწერა:

საგარანტიო მომსახურების პირობები

გარანტიის ვადები:

1. UBIQUITI NETWORKS - საგარანტიო მომსახურების ყოველთვიური ღირებულების გადახდის დაწყების თარიღიდან.
2. MIKROTIK - საგარანტიო მომსახურების ყოველთვიური ღირებულების გადახდის დაწყების თარიღიდან.

1. **გარანტია არ ვრცელდება, თუ პროდუქტი:**

   ა) მექანიკურადაა დაზიანებული;

   ბ) გახსნილია „დამკვეთის“ მიერ;

   გ) დაზიანებულია კაბელების არასწორი შეერთების გამო;

   დ) დაზიანებულია მესამე მხარის მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების გამო;
2. საგარანტიო მომსახურების ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 3 ლარი.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი:

შპს„ აიროპტ“
მისამართი: ქ. ზუგდიდი რაიონი სოფ, ინგირი
ტიციანის ქN37
დირექტორი: თორნიკე ანთია
ელ. ფოსტა: info@airopt.ge
ტელეფონი: 032 211 07 57
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარისწ. ანგ. GE05BG0000000877825500

ხელმოწერა:

დამკვეთი:

სახელი, გვარი: _____

პ/ნ ან ს/ნ _____

ტ: _____

მისამართი: _____

ხელმოწერა:

შპს„ აიროპტ“-ის

დირექტორი (თ. ანთია)